თბილისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარე

N:044§1

22 მაისი, 2013
ქ. თბილისი

სასამართლოში ფოტოგადაღების, კინო-, ვიდეო-, აუდიო ჩაწერისა და ეთერში გადაცემის წესების შესახებ

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 13^1 მუხლისა და 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სასამართლო პროცესის ფოტოგადაღება, კინო-, ვიდეო და აუდიო ჩაწერა ხორციელდება „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონითა და ამ ბრძანებით დადგენილი წესით.

2. სასამართლო ვალდებულია უზრუნველყოს ყველა სასამართლო პროცესის აუდიო/ვიდეო ჩაწერა სხდომის დარბაზში საამისოდ დამონტაჟებული აპარატურით, რომელიც განთავსებული უნდა იქნეს იმგვარად, რომ იღებდეს მოსამართლისა და პროცესის მონაწილე მხარეების პერიმეტრს და არ იძლეოდეს ნაფიცი მსაჯულების, ასევე ამ ბრძანების მე-7 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში დაზარალებულის ან/და მოწმის, გადაღების შესაძლებლობას.

3. საზოგადოებრივი მაუწყებელი და საერთო მაუწყებლობის ლიცენზიის მქონე სხვა მფლობელები, სასამართლო პროცესის ფოტოგადაღების, კინო-, ვიდეო და აუდიო ჩაწერის უფლებით სარგებლობისათვის, სასამართლო პროცესის დაწყებამდე გონივრულ ვადაში, მაგრამ არაუგვიანეს 1 საათისა, შესაბამისი წერილობითი განცხადებით მიმართავენ საქმის განმხილველ მოსამართლეს. თუ საზოგადოებრივი მაუწყებელი სარგებლობს ამ უფლებით, აღნიშნული წარმოადგენს საერთო მაუწყებლობის ლიცენზიის მქონე სხვა მფლობელებისათვის სასამართლო პროცესის ფოტოგადაღების, კინო-, ვიდეო და აუდიო ჩაწერაზე უარის თქმის საფუძველს. იმ შემთხვევაში, თუ საზოგადოებრივი მაუწყებელი არ სარგებლობს ზემოაღნიშნული უფლებით და განცხადება წარდგენილია ერთზე მეტი საერთო მაუწყებლობის ლიცენზიის მფლობელის მიერ, შერჩევა მოხდება მოსამართლის მიერ წილისყრის საფუძველზე, რომლის შედეგიც შესაბამის პირებს ეცნობებათ სატელეფონო შეტყობინებით სხდომის ჩატარებამდე გონივრულ ვადაში.

4. სასამართლო სხდომის დარბაზში ფოტო გადაღება, კინო და ვიდეო ჩაწერა ხორციელდება მხოლოდ სასამართლოს მიერ წინასწარ გამოყოფილი ადგილიდან. დაუშვებელია მიკროფონის ან სხვა აუდიოჩამწერი აპარატურის განთავსება სხდომის თავმჯდომარის (მოსამართლის) სამუშაო მაგიდაზე, მხარეთა მაგიდაზე, მოწმის მიერ ჩვენების მიცემისათვის სპეციალურად გამოყოფილ ადგილზე, ბრალდებულის განთავსების ადგილზე, სხდომის დარბაზის გამყოფ ბარიერზე.

5. აუდიო ჩაწერა შესაძლებელია განხორციელდეს სასამართლო დარბაზში მყოფი ნებისმიერი პირის მიერ მხოლოდ სასამართლოს მიერ წინასწარ გამოყოფილი ადგილიდან, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სასამართლოს მიერ გამოტანილია განჩინება სხდომის ნაწილობრივ ან სრულად დახურვის თაობაზე.

6. ამ ბრძანების მე-4 და მე-5 პუნქტებში მითითებული მოქმედებების განხორციელებისას დაუშვებელია სასამართლო დარბაზში მოძრაობა, ხმაურის, შუქის ან სხვა ისეთი ემისიების გამოყოფა, რომლებიც ხელს უშლის მართლმსაჯულების განხორციელების ნორმალურ პროცესს. ფოტო გადაღება, კინო-, ვიდეო და აუდიო ჩაწერა უნდა განხორციელდეს ნაფიცი მსაჯულების, ასევე ამ ბრძანების მე-7 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში დაზარალებულის ან/და მოწმის გადაღების, მათი ვინაობის, გარეგნული ნიშნების ან/და სხვა პერსონალური მონაცემების გამხელის გარეშე. ამ წესების დარღვევის შემთხვევაში მოსამართლეს (სასამართლოს) შეუძლია მიიღოს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო და სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ზომები, რომლის შესახებაც მოსამართლე, სხდომის გახსნისთანავე, აფრთხილებს ფოტოგადაღების, კინო-, ვიდეო და აუდიო ჩაწერის განმახორციელებელ პირებს.

7. თუ დაზარალებულის ან/და მოწმის უსაფრთხოების ინტერესები ამას მოითხოვს, მხარის მოტივირებული შუამდგომლობის საფუძველზე, სასამართლოს შეუძლია აკრძალოს დაზარალებულის ან/და მოწმის გადაღება, მისი ვინაობის, გარეგნული ნიშნების ან/და სხვა პერსონალური მონაცემების გამხელა.

8. ნებადართულია სასამართლოს ეზოსა და შენობის დერეფნებში ფოტოგადაღება, კინო-, ვიდეო-, აუდიო ჩაწერა და ეთერში გადაცემა ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე. დაუშვებელია მოსამართლეთა და აპარატის მოსამსახურეთა სამუშაო ოთახებსა და სასამართლოს შენობის ადმინისტრაციული დანიშნულების მქონე სხვა ადგილებში ფოტოგადაღების, კინო-, ვიდეო-, აუდიო ჩაწერისა და ეთერში გადაცემის წარმოება.

9. დაუშვებელია სასამართლოს შენობაში შესული პირისათვის პირადი ნივთების (გარდა კანონმდებლობით აკრძალული ნივთებისა), მათ შორის, მობილური ტელეფონის, კომპიუტერის, ფოტო, კინო-, ვიდეო- ან/და აუდიო საშუალებების ჩამორთმევა.

10. ამ ბრძანებით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულების მიზნით, სასამართლოს მანდატურმა:

ა) უზრუნველყოს ფოტო გადაღების, კინო-, ვიდეო-, აუდიო ჩაწერის უფლების შეზღუდვის შესახებ სხდომის თავმჯდომარის (მოსამართლის) მიერ მიღებული განჩინების შესრულება;

ბ) არ დაუშვას სასამართლო სხდომის დარბაზში იმ პირთა თვითნებური გადაადგილება, რომლებიც ახორციელებენ სასამართლო სხდომის ფოტო გადაღებას, კინო-, ვიდეო-, აუდიო ჩაწერას, ასევე ამ პირთა მიერ ტექნიკური მოწყობილობის გადაადგილება იმ ადგილიდან, სადაც იგი განთავსებულია;

გ) დროულად აღკვეთოს სასამართლო სხდომის დარბაზში ნებისმიერი ხმაური, რაც გამოწვეულია ფოტო გადაღების, კინო-, ვიდეო- ჩაწერის შედეგად;

დ) თავისი უფლებამოსილების ფარგლებში არ დაუშვას ფოტო გადაღების, კინო-, ვიდეო, აუდიო ჩაწერისა და ეთერში გადაცემის იმგვარი წარმოება, რაც შესაძლებელს გახდის ნაფიცი მსაჯულების, ასევე ამ ბრძანების მე-7 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში დაზარალებულის ან/და მოწმის იდენტიფიცირებას;

ე) არ დაუშვას ფოტო გადაღების, კინო-, ვიდეო, აუდიო ჩაწერის და ეთერში გადაცემის წარმოება სასამართლოში იმ ადგილებიდან, რომელიც არ არის დაშვებული კანონით და არ ემსახურება სასამართლო პროცესის საჯაროობის პრინციპებს.

11. საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელმა თანამდებობის პირმა, მხარის შესაბამისი წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე, მოთხოვნისთანავე უნდა უზრუნველყოს სასამართლოს მიერ წარმოებული სასამართლო პროცესის აუდიო/ვიდეო ჩანაწერის ხელმისაწვდომობა. თუ სასამართლოს მიერ გამოტანილია განჩინება სხდომის ნაწილობრივ ან სრულად დახურვის თაობაზე, მხარეები ვალდებულნი არიან ხელი მოაწერონ ხელწერილს აუდიო/ვიდეო ჩანაწერის გაუმჟღავნებლობაზე.

12. ეს ბრძანება გაეცნოს მოსამართლეებსა და სასამართლოს აპარატის მოსამსახურეებს.

13. ამ ბრძანების შესრულებაზე კონტროლი განახორციელოს სასამართლოს მენეჯერმა.

14. ძალადაკარგულად გამოცხადდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის 2013 წლის 21 მარტის №026§1 ბრძანება.

15. ეს ბრძანება, გარდა მე-2 და მე-11 პუნქტებისა, ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

16. ამ ბრძანების მე-2 და მე-11 პუნქტები ამოქმედდეს შესაბამისი ორგანიზაციული და ტექნიკური ღონისძიებების განხორციელების დასრულებისთანავე, მაგრამ არაუგვიანეს 2013 წლის 1 ივნისისა.

ვალერი ცერცვაძე